დახეთქლთ კედელთ ზოგჯერ აპობდენ,
მცველთ არ ემედათ, მსწრათლ დაგვახრჩობდენ,
ესედავდათ ეყუეთ რა ყოველგვით კრული,
უცლდა გყრას ჩუქს სხველს სული.

მით მოერჩებოდით მაინც ვაებას
და ის მოგეცემდა თავისუფლებას!

7.

საწყალობელი შუათანა ძმა,
ვითა ყვავილი ზეზნულ განხმა,
ის საპყრობილე ცრემლით დანამა,
უფრორე მოკლა უკმელობამა,
საშინელია ციხის საკმელი:
ვერ მესძლებს ჭამას მისას ყოველი,
გარნა ხედავ რა საჭიროებას
იფიწყებ მაშინ გარემოებას,
მწყურვალეთაჲს მოაქტუსთ რა წყალი,
მოქედობს შაშინ ვით ღვინის ძალი.
გეკონდა დღიურად ჩუტნ შავი პური,
თუც შიმშილს ეკლავდით, მაინც ვემდური,
მან უფრო მოკლა ძმა ის საწყალი,
შემწედ ვეალოლდი არ მკონდა ძალი?

8.

ჯაქენი იგი წელს გეკონდა მობმული
სვეტზედ ვიყავით მითვე შიკრული,

ერთად მაინცა ეყოთღვიყავით,
ერთმანერთს ბიჯზედ ვერ უდგებოდით;
მაყარებისთვის გული გვაცემდა,
თვალით ხომ ნახვას ვინ გვაღიარებდა,
სიბნელე მეტის მეტად გვიშლიდა.
დღე დღეზედ სახეს პერობილთ გვიცვლიდა,
გარდაიერწყა თვისი ძმა ძმამა,
ნელიად განვლო რა რომე ხანმა,
ნუგეზად გექონდა მხოლოდლა ესა,
რომ ერთმანერთსა ვაძლევედით ხმასა,
ერთმანერთ შიგან რა ვსაუბრებდით,
ურთიერთს მითლა გულს უმაგრებდით,
ვიტყოდით ანბავს ზოგჯერ წარსულსა,
ხან ჭმუნვის მღერით ვიტკობდით გულსა,
გარნა ესეცა გვაბეზრა ჩუტნა,
სა'ტკივან ცხის მან სიბნელემა!
ხმაც შეგვეკვალა, მხოლოდ ვწაოდით,
ძმანი ჩუტნა ძმათა ელარა ვაცნობდით,

9.

სამთ ძმზედ დიდი თუა მე ვიყავი,
ვივიწყე ჩემი მე ბედი შავი,
და მქონდა მხოლოდ ეს მზრუნველობა,

რომ გაემხნია ძმათ სულგზდელობა!
სულ პატარა ძმა, მრავალთ ცრემლთ მღვრელი,
იყო მამისა ის საყვარელი...
ახ! სახე მისი გამოკეკლული,
ვით მთვარე სრული გამობადრული;
თვალნი ციაგნი და მშვენიერნი,
ვით მოკამყამო ცანი ძლიერნი,
მოგვაგონებდენ ჩუქნსას დედასა,
მით უზნირებდათ ცხარეთ ცრემლთ ღერასა!
იგი ძმა იყო ჩემთვის პირველი,
ვარდებრ გახმა ჩემს წინ ვით ურწყევლი;
იგი ძმა იყო მზე ზე მავალი,
რომელს ვჭერეტი მე თავისუფალი,
და აქო წმიდა ვითარცა დილა,
მისებრივ ჩუქნში არეინ ყოფილა.
იყო უზრუნველ და მხიარული,
ცელქი და ჰქონდა უნადელო გული,
გარნა იხილა რა მწუხარება,
გარდაივიწყა მხიარულება,
და იმა დღიდგან ციაგნი თვალნი
ვცვალნენ, ცრემლნი რბოდენ ვით წყალნი.

1858 წ.

ი. კ.

ნუ დაჰკარგავე ძველსა ვზასა, ნურცა ძველსა შეგობარსა.

შეუსრულებელის კომედიითგან

ერთი სცენა.

მოკმედნი პირნი:

ელიზბარ, სოფლელი თაყალი.

გაბრიელ, საწყალი ჩინოენიკი სამსახურითგან გამოსული,
ეს და ელიზბარ ერთის სოფლიდგან არიან.

კვირიკე, ბიჭი ელიზბარისა.

ალექსანდრე ივანიჩი, ლუბერნსკის პროკურორი.

ეპტირინე, ცოლი ამისი.

ნიკო

პაეღე,

ზაქარია.

შული ამათი, ყმაწვილები.

მწერალი ალექსანდრე ივანიჩისა.

მოსამსახურები.

ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასს, ნურცა ძველსა მეგობარსა.

კომედია სამს მოქმე აებად.

მოქმედება პირველი.

(სცენა წარმოადგენს პატარა ოთახსა, ერთ გვერდზედ ტახტი სდგას, მეორეს გვერდზედ სკამები, ტახტზედ აქა იქ ტანისამოსი ჰყრია და ზოგან თოფი, ხანჯალი, სხტა და სხტა. გაბრიელ ტახტს თავს ჩამომჯდარია დახეულის ვიცემუნდირით, და როდესაც ელიზბარ დაელაპარაკება, იმდენს ცდილობს რომ ასიამოვნოს რამე, თავაზით და ღიმილით პასუხს აძლევს. ელიზბარ ჩიბუხი ხელში, ახალუხა, გაივლის დიდგულად და გამოივლის.)

გამოსვლა პირველი.

ელიზბარ და გაბრიელ.

ელიზბარ. აი, ცხოვრება ინატროს კაცმა ამისთანა! არა გავს სოფელს, ფუ! სწორეთ მამაბეზრა თავი! აქა, როგორღაც ისე, როგორა ესთქუათ, არის კარგი. გულსაც უხარიან, სულსაცა. ასე გადის დრო, თითქო, ისე, არაფერიო. სულ როგორღაც ყოველი ფერი სხტა ნაირად არის.

აბა რამდენი ხანია, რაც ქალაქში ვარ?.. (თითებითა სთვლის.) ერთი, ორი, სამი.. სულ სამი დღეა. აბა რა არის სამი დღე. ეს სამი დღე საათთაგან ძლიერს მეჩვენა? დავიბადე, სწორედ ახლად დავიბადე, სრულებით სხუა კაცი ვაგებდი. ასე მგონია სულ თხუთმეტის წლისა ვარ მეთქი. მამაჩემი არ გამიწყობდა! [თან ულვაშებს იგრებს და უხარია.]

ჰა ვაბო, მენ როგორა ფიქრობ ამასა? არა. მამიშენის მზეს?

ვაბო. (თავით და ღიმილით.) მე შენი ჭირი? ეითომც როგორ? რასაკვრეელია კნაზო ელიზბარ, დიდი განრჩევა ვახლავსთ, სად სოფელი და სად ქალაქი, აქ როგორღაც სულ სხუა ნაირათ არის..

ელიზბარ. დაბნე რასაკვრეელია ძმობი აი.. აი ჩემი თავი ავიღოთ მაგალითად. მე აქ თავისუფალი ფრინველი ვარ.. (სამოწმებით იჭიმება.) ჩემის თავის ბატონი, მე თვითონა ვარ, არაფისი არ გეშინიან, ანგარიშს არცა ვინა ვთხოვს, არცა ვის აძლევ, საითკენაც ვინდა ვაფრინდები, საითკენაც ვინდა ვაქცევი. აქ ტიატრი არის, იქ მალაზია, იქ ბულვარი, ბულვარს ხომ ნუ იტყვი, სადაც ლამაზია სულ იქ დადის, როგორც თოვლი ისე თეთრები არიან; რომ კაცს არ უნდოდეს, თვალები კიდევ თავისას არ იშლიან, რომ შეეხედავ ხოლმე, როგორღაც ეს ძველი სისხლი ამემღვრევა და გამიახლდება ხოლმე, მამაჩემი არ წამიწყობდა.. შენ, შენ რაღას იტყვი, შენ პლუტო? მე მგონია შენცკი ჰა.. მე მგონია არ აცდინო? ქვეშ ქვეშ იყურები,

მაგრამ გიწნობ რაც მუსლი ხარ. (იციინის.)

გაბრიელ. ხა! ხა! ხა! კნიაზო ელიზბარ! ხა! ხა! ხა!..
ღმერთმან იცის.. როგორი ხუმარა ზრძანდებით.. ხა! ხა! ხა!
(ჰსცხვენნიან) ეგვი არა და კნიაზო! მტაბის ზემოთ, ახლა
მაღაზიები რომ გახლამსთ, თანჯრებში ასეთი სურათები ჰკიდია,
ზოგი ტიტველა, ზოგი ისე როგორღაც, რომ ღმერთმან
იცო კაცს ისე, როგორღაც მოუნდეს... ხა! ხა! ხა! იქნება
თქუპნც ნახეთ კნიაზო ელიზბარ?

ელიზბარ. ჰმ! ენახე და, სწორეთ ანგელოზები არინ ძმაო!
თითქო ცოცხლები იყენნო, გუმინ ერთს საათს უყურებდი
და თვალები ვერ მოვაშორე, ჩამდენიც მინდოდა მოვემო-
რებულვიყავ, იმდენი თვალები კიდევ იქით მირბოდნენ; იმ
წყეულებს როგორ დაუხატაეთ? რა მხარები აქტო, რა
გული!.. მარტო სუნთქვა აკლიათ წყეულებს... ვიდეკა ერთი
საათი, უყურე, უყურე, რომ არ იქნა მივაფურთხე; ფუ
მეთქი, ავიქნე კელი, წამოველი და ძლიეს მოვეშორე
ცოდვასა.. მეგონა ეს ეს არის შეთქი, ჩამოველ ცოტა
ქვემოთ, ახლა სხტა უარესი მაცდუნარი ენახე.. ერთს ქალს
მიედო ორი თითი პირზედ და იციინოდა.. ახლა იმას ჩა-
ეაჩერდი: უცქირე, უცქირე, და.. აი კრისტემ დასწყევლოს,
მამა ჩემი არ წამიწყმდეს საკვრეელია!.. აი ცხოვრება
ძმაო! ცხოვრება ინატროს კაცმა, ამისთანა!.. სოფელში?
არა, რას ნახე მამა შენი ნუ წავიწყმდება ნახირის
მეტსა! —

გაბრიელ. კნაზო ელიზბარ, ვითომც რა გგონიათ?..
თავის რიგზედ შეიძლება რომ ვსთქუათ, სოფელაც კარგია.
მითომ ის რილით არის ქალაქზედ ცუდი. იქ უფრო კაცი
ზოგჯერ კარგ დროს ატარებს!.. ხან თევზების დჭერაა, ხან
სანადიროთ წასვლა, ჰაერს ხომ ნუღარ იტყვი!

ელიზბარ. მერე ცოლი? ჰ? ხომ გაგიგია ცოლის შე-
რთვა, თვალეზედ ცოლის მიკერა არისო. რამდენი ეა-
ვებლახი ჰსდეს, ჩხუბი, ყალმაყალი!.. ეს ასე არ არის!.. ეს ასე
არ უნდა!.. ეს საქმე უფრო წაგებდნია! მიბრძანდი ერთი
ნახე და სცადე, ბევრსკი ასიამოვნებ ჩემს ანას ჰა.. უნდა
იცოდე რა მოთმინება უნდა ჰქონდეს კაცსა, რომ აიტანოს
რამდენი ნაირი ლანძღვა და თრევა.. აგერ თითქმის ოც
და ხუთი წელიწადია ყოველ დღე ჩხუბში და ყალმაყალ-
ში მოვდივართ.. (ამოიოხრებს) აგერ დღეს ხვალ ჯვარის
წერაც მომიხდება ქალისა... კვირიკე. ეი!.. ბიჭო!.. ჩაბუხი
გამიკეთე! ჩქარა!

გაბრიელ. (წამოხტება ტახტიდან და ჩაბუხს მივარდება
კელში რომ უჭირავს ელიზბარს,) მიბოძეთ თქუჲსნი ჭირიშე,
შე გაგიკეთებთ.

ელიზბარ. (წყენით) მენ მენტუკს დაჯექ ძმაო. ეს მენი
საქმე არ არის. ამისათვის მოსამსახურებია რიან.. მაღლობა ღმერთს,
ძალდით უმრავლესაი მიყრიან მინა.. ბძანების მეტი კი
არ მინდა, ეს არის ძნელი რომ აქ ერთის მეტი არა მყავს
თორემ, სწორეთ გითხრა არა ვარ ნაჩევეი ერთის მოსამ-

სახურის ყოლასა. მგრაშ რასა იქ ძმაო, ყოველთვის ხომ
რაც მოსამსახურები შეყვანან, კუღსხვით უკან არ ვიდეგნებ.
კვირიკე! (უსტვენს.)

გაბრიელ. კნიაზო ელიზბარ! კადეც დიდი ხანი ხომ არ
მოგიგვიანდებათ ქალაქში?

ელიზბარ. არ ვიცი ძმაო!.. სწორეთ გითხრახ არ ვიცი..
საქმებელა ჰკილია როდესაც მოვრჩები... დმერთმა უშველოს
არჟთინას-შეილს, კარგი გლენი შეყავს ერთი კომლი ამ ქა-
ლაქშო, მინამ ვარ არა კარგი ოთახში დამაყენა, მართალია
ერთის წლია ხარჯი ვაპატყე, მგრაშ, მანც კარგი სიყე-
თე მიყო... თუ საქმე მალე შეეასრულე, თავს დგაკრავთ
და ჩემს სოფელშივე გაეწე... განა არ იცი ძმაო! ჩემს სა-
ქეიფოთ არ ჩამოვსულეარ... ჩამოველი ჩემის შეილებისათვს,
ეგება რამ ალაგები უმოენო სადმე... (თავს იქნეეს.) იძახიან
დალოცვილები, შეილებიო! სწორეთ ცეცხლია შეილების
ყოლა, მერე ისიც ამ დროში!

გაბრიელ. ეგ დიახ მართალი გახლავთ, ემ აგრე გახლბ-
ესთ... ვითომც ანბობენ, რომ შეილები, არიან სწორეთ
ეგრე...

ელიზბარ ჰო, ძმაო და, მეც მანდა ვარ, რომ სწორეთ
ესე არის რასაც ვანბობ.. ზო, მითომ რა უნდა გეთქო
გაიზდებიან და მითომ გამამადგებიან ზო ძმაო! იმათ შესც-
ქირე, გაიზდებიანთქო და, მალე გაძლები! რას ანბობ შეილო,
თავიდარბას მეტო არა არის რა, -- ქეთობან უნდა ამოი-

ლო და შეინახო, თუნდა მოიპარო არ დაეძებენ, მამა ჩემი არ წამიწყდეს! ეს ბაბმაკი, ეს ლეჩაქიო, ეს წამოსასხმელი ვარო, ემმაკმა იცის და ქაჯმა რა უნდათ და რაები, კაცი რომ ვერას გაიგებს იმათ ჩაცმისა.. აი, შორს სად მიდიხარ, ჩემი სოფიო, ღღესაშეჩვილმეტეს წელიწადში • გააღაღა, ახლავე რომ გვირგვინი დავადგათ დრო აქტს. მაგრამ რას იტყვი ძმაო, რომ იცოდე რა საშინელი ანჩხლია, ახლო ვერ მიუღდება; მერე ეინ არის ამისი მიხეზი!.. დედა, სულ დედა, იმან გააფუჭა, იმან წაახდინა • მაგრამ ესუა უნდა ესთქუა, სწორეთ ანგელოზსა ჰგავს: მაღალი, წვრილი ტანი, მერე წელი, [კელით ანიშნებს) წელი სწორეთ აი ამაში ჩაჯდება. მერდი?.. მაგასკი წუ მკითხავ, ძმაო! სწორეთ თოვლია, ასე, რომ შეხედო გაიმება!.. რუსულს როგორ ლაპარაკობს, მე ხომ არეცი არა ძმაკ და, ერთხელ ერთ-მა სალდათმა გაიარა ჩტუნს სოფლისაკენ და იმას დაუწყო ლაპარაკი, ისე სხაპა—სხუპით ლაპარაკობს, რომ სულ ჰპარსამს! შენ გონია იათათ დამიჯდა იმისი ჰსწავლა თუ! ჩტუნნი ღუღლის შვლი სემენარიამი ნამყოფია, ჩტუნში დიაკნათ არის და ის ასწავლიდა, იმის სწავლისათჳ თითქმის ნახევარ ყბ და მამული ზალოგში მაქტს.. აი, ახლა ჩამოველი ჩემის პატარა ბაღლებსათჳ: ვანოსტჳ და პეტრესტჳ, ეგება პანციონში მიგაღებინო სადმე!.. აბა ძმაო! ახლა მენ ინგარიშე თუ რამდენი ხეეწნა და თავის დაკერა მმართებს • ჰაი იმას ეხეეწე, ჰაი აპასა • კიდევ კარგია, რომ კარგი მე-

გობრები მყვანან, თორემ თუ არა მყოლოდა, შენი შტე-
რი.. კვირიკე! მენ ეშმაკის შკლო, გიბრძანებ, ჩიბუხი მეთქი!

გაბრიელ. [კიდევ წამოხტება] მე დაუძახებ თქუტსნი ჭი-
რიმე ბიჭსა.

ელიზბარ. შოიცა საყვარელო, შოიცადე. ნუ გაირჯებით,
თვთონ შოეა ის შეჩვენებული. ეგ მოსამსახურები ძმაო,
სულ მაგისთანა ხალხნი არიან, ერთის თქმით ხომ ვერას
გააგონებ.. ეინ იცის სადა გდია ახლა ეზოში და ხეირინამს.
რამ დაშაეიწყებ, იმას ეანბობდი ძმაო! ხომ იცა რომ ახ-
ლანდელს დროში შეუწევენგლად არა იქნებარა.. შენ თითონ
ხომ კარგათ იცი.

გაბრიელ. [ოხრავს) ძნელია თქუტსნმა მზემ ახლანდელ
დროში ცხოვრება, თუ კაცს შემწე და მწყალობელი არა
ვინა ჰყავს. აი მე არა ვარ რომ ასე ბედხეირათ დავეთ-
რევი.

ელიზბარ. რომ გეუბნები!.. კარგია კიდევ რომ მე შე-
მწეებიცარი მყვანან და მწყალობლებიც, მადლობა ღმერთს!..
ყველა კაცი არ არის ჩემსავეთა და.. შემოძლიან კლენით
ეთქუტა რომ ჩემისთანა კაცი ამისთანაებში არა მგონია რომ
იყოს საღმე.. აი როგორც ახლა, ზგალითად გეტყვი..
ჩემი სანდრო, ჩემი სანდრო: (უღვაშებს დიდგულად იგრეხს,
გაივლის და გამოივლის.)

გაბრიელ. ნება მომეცით თქუტსნი ჭირიმე გკითხოთ, ვიწ
გაზღავეთ სანდრო?

ელისბარ ჰმ! ასე მგონია იცნობ შეტყი. განა არ იცი
ენ არის ალექსანდრე ივანიჩი! მენ დალოცვილო, ქალაქში
იმყოფები და იმასაც ვერ იცნობ?

გაბრიელ. (მოწიწებით.) ენ არ იცნობს იმასა, ის არ იც-
ნობს ჩემისთანას წერილს და ჩურჩუკა ხალხსა, თორემ
იმას! ენ არის ქალაქში იმისთანა, რომ არ იცნობდეს.
ღუბერსკის პროკურორს ალექსანდრე ივანიჩს! კაცო ღე-
ნერალია!

ელისბარ. ზო, ღიახ ჩემი სანდრო, ჩემი სანდრო! სამი-
ნელს კაცს ამბობენ, ქუტუცი თრთისო იმის ხიშისაგან,
იმისთანა ხარისხი თურმე აქუს. (ხელით აჩვენებს). ამ სიბ-
რტყე ჯუარი ჰყიდა თურმე ყელზედ. დალოცვილი რა
ჰყვიანი კაცი გამოვიდა! ჰა!

გაბრიელ. რასაკვრეელია დიბლ შენი ჰირიმე.

ელისბარ. მერე როგორა დგასო! რა სკამები და რა
მდივნები და, თურმე სულ გორგოლაჭებით, რომ საით-
კენაც გინდა წაიღებ მინუტში და წამოიღებ, ღმერთმანი
ეწივა მოგინდება. (აჩვენებს) ამოხერს ტანტიეთ კიარარის თურმე
სხტა და სხტა რალაეზიც ფიგურები, პორტეპიანი, რას
იტყვი თურმე რომ არა ჰქონდეს! აი ბედნიერება,
სულ მალოა და მაღლა აღის, ახლა ასეთს სიმაღლეზე არ-
ის რომ თვალები ძლივს მისწვდებიან.. სწორეთა ესტყუა
მე და ჩემს ღმერთმა, რომ ღირსებაცა აქუს.. ათას ხუთა-
სი თუმანი ბანკში თურმე აქუს.. ხუმრობი არ არ არის

ძმაო გაბო ამდენს ფულების ქონა.. როგორა აქუს. ვინ
იცის შფგ რაები ძეკს, მაგრამ იცა რა?ე და ის, ერთს ქე-
ეშაგებში ეწოლალოვართა. ერთი პერანგი გეცმა, თათქის
ერთი წილებიც კი გეცმია.. საკვირველია, ახლაცუ თვალთ
წინ მიდგას, რომ მეტყუადა ხოლმე: რა არის წლები მათ-
ხოვო, ჩამეტევა, ერთ ნაირი ფეხი გეაქსო, შინადგან გარეთ
ჭერ გაესულვარო, ჩემი წალები ძველი არისო, მცხენიან
ვერ ჩამიცომაო. მეც ვეტყუადი ხოლმე. ყოველ დღე ილაჯს
მიწყევტამ სანდრო მეტქი, მენ რომ ღარიბი იყო, ჩემი რა
ბრალი არის მეტქი. მაგრამ რას ექმოდო, უკანასკნელ პერანგს
გაეძრობდი და მიეცემდი ხოლმე.. ფულების სესხებას ხომ
ნულარ მეტყვი, ერთ აბჯობით, ორ აბჯობით, მესესხებოდა.
მეც ყოველთვის ვაძლევდი ხოლმე. თავში ხომ ვინ იცის
რამდენს დაეარტყაედი ხოლმე.. ასე ვექცეოდი ჩემს სანდროს,
რომ ათას წილად მენზედ ცუდად.

გაბრიელ. (გაკვირვებული თავს იქნევს.) აბა! თქვენი ჭი-
რიმე კნიაზო ელიზბარ, მაგას როგორ მოვიფიქრებდი.?

ელიზბარ. მას რომ გეუბნები!..კვირიკე!..დასწყევლოს ღმე-
რთმა! კვირიკე! აბა თუ გაიგონოს. მამა ჩემი არწამიწყედება
სულ კბილებს დავალეწ. ბიჭო! ყრუ ხარ.? ჩიბუსი ჩიბუსი!
ჩიბუსი მეტქი!

გამოსვლა 2.

[კვირიკე დაბლევჯილის ტანისამოსით და თმა აბურტყული

შემოვა და კარებთან აიტყუება.)

კვირიკე მოწყენილის სახით) რას მიბრძანებთ შენიჭირიმე!
ელიზბარ [ჯავრობით]

შენ უმგზავსის შვილო, სად ეგდე.. (დატანებით) რას მი-
ბრძანებდით? ღმერთმან ნუ იცის მკითხავეის თავი რასაც
გობრძანებდი.. ბიჭო! ვირის ყურები ხომ არ გაბია..! ხრინწი
გამიწყდა შვილო მენის ყვირილით?.. მაგისათვის გაჭმეე პურს
და გინახამ, რომ აგრე უხიაკათ იქვეევი. (გაბრიელს მიუ-
ბრუნდება.) ღბსე ერთი მამაშენი ნუ წაგიწყდება, თუ რო-
გორ ხესავით გამემებული დგას? თითქო სიზმარში არისო!
შე შეჩვენებულო, ხომ არ გინდა რომ გამოგადეიძო და
გონს მოგიყვანო?

კვირიკე. რაო შენი ჭირიმე?.. რას მიბრძანებდი!

ელიზბარ. აზისათვის რომ ეგ შენი ვირული ქცევა ენა-
ხო?.. არა შე თავს ლაფ დასხმულო, ბქამდინ რით ვერ
მიხტუდი სამსახურსა?, ჩემთან პირუტყვე-ცვი გონებაში ჩაე-
რდება და მენ რა ღმერთი გაგიწყრა?.. გამოკეთე ჩიბუხი?
შე ბრიყო.

(კვირიკე მივა კუთხეში, ბუხრის თავიდან აიღებს თამ-
ბაქოს ქისასა, გააგებს ჩიბუხსა, ცეცხლს გაშოიღებს ბუხ-
რიდგან, ჯერ ოვთან მოსწევს, მერე თავისის კალთით
თავს მოწმენდს და მიუტანს ელიზბარს, რომელიცა გამო-
ართმევს, ტახტზედ ჩამოჯდება და რა ბოლს გამოუშვებს
პირიდან, პირდაპირ ბოლს კვირიკეს თავლებში ჰსცემს —

კვირივე თვალეზზედ კელს ისომს და ახველებს. ელიზბარკი იცინის.

ელიზბარ. ერთი კაცმა შეხედოს ნეტარ თო რასა გაეს!. სწორეთ ვირია დიდყურა.. შენ ნუ მამიკულები!.. ნეტავი კაცს მაინცა გვანდეს.. ერთი ჩაახედე მაინც სარკემი რასა გეხარ?.. (უფრო და უფრო იცინის.)

კვირივე, (თავს მოიფხანს] აბა მაშ შენი ჭირიმე, მიბრძანე ვისა ვგვევარ?.. კაცო არა ვარ თუ?.. მაშ რა ვარ თუ კაცი არა ვარ?..

ელიზბარ. [იცინის] ვირი.

კვირივე. ვირი!.. ხელამე. (იქექება] ხელამ რას მეუბნება. ეგ შენი ჭირიმე, როგორღაც ვერ მოღას, შენი ნება განლამსთ. მაგრამ (თავს იქნევს). არა შენი ჭირიმე, იქნება სხუას ვისმესკი ვგვანდე, მაგრამ ვირსკი არა ვგვევარ!.. ვირსა შენი ჭირიმე, ოთხი ფეხი აქუს, გრძელი ყურები აქუს.

ელიზბარ. [კესკასებს.] შენ ვირსა რითი სჯობახარ?.. შენ იშ ნაირი ზარმაცო და დაშეებული პირუტყვი არა ხარ?

კვირივე. ძალიან კარვს ვისმეს შემადარე ჰა, აბა რა არის ვირი შენი ჭირიმე? ვირი ვირი არის. ვირსა ქკევაც როგორღაც სხუა ნაირი აქუს. ვირსა თამამობაც და ხტომაც არ შეუძლიან.

(რა ამას იტყვის შემოტრიალდება და მერგ შესტებ შემოხტება და თან ბრიკულად იღრჭება.)

ელიზბარ. ჰო. აბა აბა, ერთი კიდეე [იციანის ძალიან, ტამს უკრამს და იძახის.] ჰო, აი ბარაქლავ ხელაე, ვირიკი არა და ახლა ვირს კიდეე გადააჭარბე. (მილა და გაიხედამს გზართ.) ოჰ, შუა ღლე გამხდარა, შენი მტერი, ჩემს სანდროსთან უნდა მივიდე სანახაეთ, მაგრამ ანობენ თუ არ თერთმეტ საათზედ არაეის არ მიიღებს ხოლმეო. [კვირიკეს.] კარგი სულელო, გეყოფა, ბრიყული ხტობა, თუ კაცმა ნება მოგცა მაგის მეტი ხომ არ გინდა.. ტანისამოსი მოიტა ჩაეიცო ჩქარა.

(კვირიკე გაეა.)

გაბრიელ. [მოწიწებით მიუახლოვდება ელიზბარს] მე, თქუნი ჭირიმე კნიახო ელიზბარ! თქუტნთან ერთი სათხოვარი მაქუს. თქუტნა შენი ჭირიმე, ყოველთჳს ჩემი მფარველი, შემწე და მწყალობელი ბრძანებულხართ. [მომტირაასლის ხმით, წუწუნით] მინამ პირმი სული მიღვას, არ დამაეიწყდება თქუტნი სიკეთე. თქუტნგნით შეუწყნარებელი მოგედე, თუ ჯაგიეიწყუთ სიკუდილამდინი. მეორე მამის აღავს მეგულებით და ყოველთჳს ღჳერთს ევედრები და ეთხოე თქუტნს სიცოცხლესა.

ელიზბარ. რა ამბაეია ძმაო გაბო? მითხარი რაში შემადლიან გამოგადგე?

გაბრიელ! თუ ნებას მიბოძებთ თქუენი ჭირიმე, მოგახსენებთ. (თან ეიცამცნდირს ისწორებს.)

ელიზბარ. მითხარი ძმაო, მითხარ. პირ და პირ მითხარი.

ხო იცი პირდაპირ თქმა მიუჭარს, მე ყოველთვის მოხარული ვარ, თუკი რამ შემძლიან კეთილი საქმე ექნა, შეღწეობა მიეცე ჭისმეს, თუკი რამ გამომივა ხელითგან! ამასა ქრისტიანობრივი მოვლელიბაცა მოითხოვს.

გაბრიელ. ყურის გაება შენი ჭირიმე.. ჩემი ერთგულეობა და ბეჯითი სიარული სამსახურში, მგონია რომ მოგეხსენებოდეს მთაერობასა და, თქუტუნ ნუ მოუკუტდებით ჩემს თავსა, ღმერთს გეფიცებით, ჯამაგირი ისე ცოტა მაქუტს, რომ ხარაზიც ვერ იცხოვრებს იმითი.. კიდევ კარგია, რომ თქუტუნისთანს მალაღს გვამს, ზოგჯერ ან არზა ექნება, ან კოპიო რისამე, გაღუწერ ხოლმე და ცოტას რასმე მამცემენ, იმითი რის ყოფით ვარჩენ თავსა, თორემ თუ ისიც არ იყოს. თქუტუნი მტერი, რაც ჩემი საქმე იქნება.. მათ მალაღ-პატროსნების ალექსანდრ ივანიჩის სასაქართველოში მოვახსენებენ ეკანცია არისო სტოლნაჩალნიკის პომოშნიკისა.. რადგანც თქუტუნი ჭირიმე ეგრეთი მეგობარი ბრძანებულხართ მათ მალაღკეთილშობილებისა, თქუტუნთუა ერთის სიტყვს დახარჯუა ჩემ საქმეზედ, იმასთან არაფერი განლაშსთ..

ელაზბარ. ბატონი ბრძანდები, ძმაო, ბატონი. მე ასე მეგონა ერთ დიდს რასმეს შემამკვეთავდი მეთქი.. ეს რა არის, დიდი სიხარულით ჩემო ძმაო.. ჰმ! რასაკვრველია ჩემი სანდრო, მაგისტანას მტირეს საქმეს დიდის სიხარულით ამისრულეპს.. შენ დალოცვილო, ასე მეგონა

იმისთანა სათხოვარი გქონდა, რომ აღსრულდებოდა ძნელი იქნებოდა.. ეგ ადელი იყო გამო, ხათრიჯამი იყავ რომ უთუოთ გაგირიგებ ჩემ სანდროსთან (გაბრიელ მდაბლად თავს უკრავს). აჲ დროე, დროე! აჰა. ერთს ქტუშსაგებში გეძინა ხოლმე, ერთი წაღა გეცევა ხოლმე!.. ეს მგონია დიდს რასმეს ნიშნავს.. ეთხოვეო რამე ჩემ სანდროს და არ ამისრულოს!. ეჲ შენს ელიზბარს.. ახლა შენი მტერი.. რაკი მნახავს.. რა გაოცდება!. მომიყვება, დამიწყებს საუბარს.. აი რისგან არის! რა წყალმა მოგაგდო ჩუშნენ?. რა სუქმეს გაუღლია.. როდის ჩამოხველ!. როდის წახვალ? დიდხანს დარჩებით ქალაქში?. ახლა შენ, მაშინ უყურე, ძველს მღგომიარობას რომ მოიგონებს!.. მე ცერემონი და რაღაებიც არ მიყვარს. პირდაპირ ვეცყვი მგობრულად. „წაიყვანე ძმავ ჩემო ბაღდადი მეთქო, რაც გინდა უყავ, მომიცია მეთქო, გინდ კაპუზში გგზავნე, გინდ პანციონში. სადაც შენი ნება იყოს და როგორც გინდოდეს მეთქო.. (ცოტას ხანს დაჩუმდება,) მერე რასაკურეელია, შენთვისაცა ეთხოვე...

გაბრიელ გმადლობთ თქუშნი ჭარიმე, ღმერთმან თქუშნი თაგი მიცოცხლოს.. ღმერთმან თქუშნი წყალობა ნუ მომიშალოს. [ღმებს დახეულს შლიაპას.]

ელიზბარ. მშუღობით ძმავ, მშუღობით, გამარჯობით, (გაბრიელ გავა.)

ელიზბარ. [მარტო ოთახში გაივლის, გამოივლის და

...აგოსა.) ვაჟო! ე სხვებისთვისა ვცდილ
თავისთვის ვეცადო რასმეს.. ამაზედ კარგი დრო სადღა მემ-
ხვდება.. ეა შენს ბიჭს. ვაჟო მივალ და ჩემს სანდროს,
ჩემთვის ერთს რასმეს ალაგსა ვთხოვ ქალაქში.. რა უყოთ
თუ რუსული არ ვიცი.. თუკა ალაგს მომცემს სადმე, განა
ისკი არ შეუძლიან იოლათაც წამიღოს.. მითომ რა ჩემზედ
კარგები არიან მდივანბეგების პერეოჩიკები.. ეს კარგი ფიქ-
რი მომივიდა.. ღმერთსა ვფიცავ კარგი ფიქრი მომივიდა!..
არა, სანდროსათვის, მითომც რა დიდი საქმე არის, იმისთანას
პატროსანისა, იმ გაერ ხარისხის მქონებლისათვ; ჩემისთანას
კაცს რომ საქმე გაურიგოს, ვითომც გაუფურთხებია! კარგი
მოთხო აღგილი, კარგა ჯამაგირი.. ანბობენ ვითომც, შემის
ფულსა, სხლისას, თუ სამთლისა ეძლევათო.. მოსამსახუ-
რე იმათი კი ჩემთვის საჭირო არ არის.. თუ ენებებათ
მე თითონ მივართმეე.. ძალთ უმჩაეღესნი მიყრიან სახ-
ლში.. ცოტას აქა იქ ავასხლეტრასმეს კიდევ, არ შეიძლება
რომ ეს არ იყოს, მამა პაპური ჩვეულება არის... ჰაჰ თუ.
წამოვა ზეაფი სიმდიდრისა და წამამაწეები თავზედ.. რასაყ-
ვირეელია რომ ჩემს სოფიკას მაშინ კარგს კაცს მივცემ..
მე კი ვერ გავმართამ ბალებსა. აი, სიცოცლე გაქვს, ელი-
ზბარმა დაიწყოს მაშინ ცხოვრე შესაფერი.

(კვირიკეს შემოაქვს კაბა, ჩააცმევს და ელიზბარ გასვლ-
ას რომ დააპირებს ფარდა ჩამოეშვებ.

ი. კერესელიძე.

ლოტო და იმის მოქმედება ოჯახზედ.

დინ, — წარსულს ცისკრის ნუმერში ლაბარაჟი მქონდა
ლოტოზე, რომელიცა ასე უწყებლოდ ღუბავს ჩტუნ სახლს,
რომელიცა ასე სასტიკად აუბედურებს ჩტუნ წგრილ შკლებს;
განა ჩტუნ სახლის უფალს, (ახლანდელს დროში ხომ ქა-
ლი შექნილა, სახლის უფლად] იმდენი გრძნობა აქტუ-
იფიქროს შკლის კეთილად აღზრდისათვის? განა იმას ის
გული აქტს, რომ შესტკიედეს თავის საღმრთო მეუღლის
ქმრისათვის, რომელიცა ზრთელი დღე ატარებს თავის ცხო-
ვრებას იმ ზრუნვაში, რომ მოიპოვოს და გამოკვებოს თავ-
ვისი წგრილ შკლი და ცოლი, რომელიცა მეუბრალებლად
ანიავებს ლოტოზედ. იქნება ჩემო საყურელო მკითხველო
გაჭკვირდე და სთქუა, არაჲინ მინახავს იმისთანა ქალი,
რომელიცა ლოტოზედ ანიავებდეს ქმრის ოფლსაო? თუ
არა გჯერავს, მაშ მე შენ გეტყვი:

როგორც წარსულს ნუმერში ვთქვი, გათენდა დილა
თუ არა, — იმათი დილა ხომ ან ათი საათია, ან თერთმეტი,
ჯერ ქვეშაგებში, ერთი ორჯელ თუ სამჯერ გადატრიალ-
გადმოტრიალდება, ეს იცით, რათა, მკითხველო, ამისათვის
რომ ეზარება ადგომა, მეტის უძილობით, მეტის ჩიჩინით,
რომელიცა გამოუვლია იმ ღამეს, ისე მოუწყვეტავს, რომ
წამოდგომა ეზარება; — მაგრამ, რა აგონდება, იმ დღეს სა-
ღამოზე კიდევ სხუა ალაგს ლოტოზედ წასვლა, ის მოგო-
ნება, თავის ანდამატის ძალით, წამოსომს ქუტსმსაგებში,
აბა სცენა რომ ახლა აქ არის! მე ვიცი ერთი სამოცი
წლის დედაკაცი, რომელსაცა პირში ერთი კბილი აღარ
აქვს და რომელიცა ისე გატაცებულია ამ წყეულს თამა-
შობაში, და ისე გალოთებულს ამ ლოტოთი, რომ ბევრ-
ჯელ მრთელი დღე გაუთენებია და გათენებასაც ისე მი-
ძინებია, საღამომდინ, რომ არა სკოდნია, ის დღე ღრუ-
ბლიანი იყო, თუ უღრუბლო. დიახ, წამოჯდნა ქვეშაგებში
ეს ლოტოს მოტრფე და დაუძახა თავის გოგოს სულე-
ლისაზარას, ერთა საათა პარის დაბანას, სანსუნებლების
წაცხობას და თავის კარცხნას უნდება, — გახდა თორმეტი
საათი, — ახლა, საცოდავი გოგო, შედის და გადის, შემო-
აქვს. ნაირნაირი თავსაკრავი, ხან ერთს შემოიკრავს თავზედ
ხან მეორეს, იმისი უზრუნველი ქალბატონი, იხედება სარ-
კეში, ჰკითხავს გოგოს, რომელი უფრო უხდება და ბოლოს
რის ყოფით და ანბით რა მოირთვება და წამოდგება, სა-

ათს უყურებს, როდის დაღამდება! ძალიან ბევრი, რა არ გააკეთა სახლისათვის! ბევრს დაეძებს ეს სახლს, ან კარს ისიც არ იცის, იმ დღეს სადილათ რა აქტის, არც ის იცი უკეთდება რამე, თუ? არა კმრისა ხომ, თუ ჰყავს, კმარი როდის გაეიდა ან რა გუნებაზედ, ან ჩაი მიიღო, ან ჰკმა რამე, თქვენ არ მამიკდეთ, ის ისე გაცივებულია, სახლის მდგომარეობაზე, როგორც თქვენ ჩემო მკითხველო, სპარსეთას შახის სახლკარიბნობაზე, როგორ გგონიათ მკითხველო, ეს უბედურება არ არის? ეს ისეთი მანებელი კირი არ არის, რომელიცა, სახლს საძარკველიანათ ამოაგდებს? ახლა ვაი იმისი ბრალი, სადღაც სმირად ლოტოს თამაშობენ, ვის სახლშიაც იკრიბებიან, მაგრამ ეს რა ვთქვი, იმას ეს სიხარულათაც მიანჩნია და! თქვენ რა გგონიათ, მასპინძელს ქალს როგორ დაუჯდეს, იმ ღამის ლოტოზედ მიწვევა? უკანასკნელი, რომ ვთქვით, კიდევ დაჯდება, ხუთი თუმანი და ეს ფული იქნება ჯამაგირიც არ არის იმის კმრისა; მაგრამ ბევრი წყარო სხტა არის ქრესყანაზედ! დიახ, მასპინძელი ამზადებს ოთახებს იმ ღამისათვის; ზალაში ადგმევენებს, ორ პირად გრძელ სტოლებს, კედლებზედ აც და სტოლებზედაც ბარე ორმოცამდინ კარტოფალის სამთლებს სდგამენ და ურჭობენ ლურსამებს; მეორე ოთახში სდგას აგრეთვე ერთი გრძელი სტოლი, რომელზედაც თავსა და ბოლოს ორის დიდის ბლუდით, სდგას ახალციხურის ეაშლით და მსხალით სხტა ბლუდები, და ზედ აწყევია ყუ-

რძენი, ზღმარტლი, ხმელი ხილი, რა ერთიცა გსურთ .. დე-
კემბრის თვეა, და კარგი მსუქანი ნესებოც, გაზელის ლი-
მონადები, (ორა! ესეც გახლავთ, ქალებო!) მუ'რბა? კან:ლამ
არ ღმამეიწყდა! ხუთნაირი; რისაც გნებათ! კერინჩხისაც
კი, ჭემმარიტათ! თორემ, ნიგვზისა, ალუბლისა, ბაღისა და
სხუა და სხუა .. მაშ? თავი არ გამოიჩინოს? მაშ ამ თავის
გამოჩენას, მრთელი თვის, თავის ქმრის ჯამაგირი, ერთ
ღამესეე არ შესწიროს? სუყეელა კარგი ჩქმო მასპინძლო,
ლოტოს მოტრფეე, კელუცო ქალო, და, ეს როგორღა
დაგაეიწყდა, რომ თქუტუნ აჭრელებულა სტოლს მოაკელით
პრასა. ოჰ, რა დაგიმადლებდით, ეს პრასაცა გქონდათ, — ამ
პრასას საკურეელი თუხება ბქუტს, შეუძლებელია ვინცა სჭამს
ძილი არ მოჰგეაროს, და ძილას მოგერიტ, ეგება ჩემი
სახლის უფროსი, ცოტა მოადრეოთ დამიბრუნდეს ხოლმე
შენა. ჯერ ერთი ესა, რომ ორი სამი მანეთით წაგებას
გადამირჩება, და მეორე ეს, რომ ცოტა მოადრეოთ მოხედავს
ჩემ წერილ შვლებს, რომელთშიაც, ზოგჯერ მოხდება ხო-
ლმე, რომ ერთ ერთი, ავთ არას, და მეტის სიცხით,
რალაცას ბოდბეს, არა ჰყავს ახლო მშობელი რომ დაუ-
ძანოს:დედა! და დედის ხმის გაცემით, ალერსით, შეუმსუბუქდეს
სენი! მაგრამ სად არის ახლა ის ნეტარი სახლი, რომელს
სახლშიაც დედანი მოიჭირებდნენ შვლებისათვის, და თუ არის ეს
ნეტარი სახლი, ეს არის, ის სახლი, არა ერთი, — რამდენიმე,
რომელთაც შეენატრი დარომელნიცა ვრიღებიან, შუათანა ვრი

რომელნიცა ასე გატაცებულები არიან ლოტოში... შეიყარ-
ნე, თითო ოროლნი, — მოდიან შეიდი თუ რეა საათიდან,
ერთი ისე მჩიარულების სახით, თითქოს საქვეყნოდ კეთილ
საქმეზედ, მოსალაპარაკებლათაო; ბოლოს სულ რომ მოგრო-
სდებიან, ბევრჯელ სამოცამდინ შეიყრებიან, — დაიწყებენ;
არის ერთი ყაყანი, ალიაქოთი, ზოგი ხუმრობს თანა, ზოგი
ჩხუბობს, ზოგი დაიცილება, ზოგი ტირის თითქვის, რომ
აგებს, ზოგი კიდევ მეორე ოთახისაკენ იყურება, მოვიდეს
ქჩარა დრო, რომ შევიდნენ და ჩანთქონ, ხილი-მილი
ზედაც ლიშონადი დაყოლონ. — ვაი შენს ბიჭს, კინალამ
არ დამაეიწყდა! ვაი იმ ქალის ბრალა, რომელ ქალსაც
ზედ ხუთი მანეთის მეტი არა აქუს. ახლა ხომ გსეც „მო-
დნათ, შემოვიდა, რომ სამ თუმანზედ ნაკლებს ან ვინც
წააგებს, ან ვინც მოიგებს, დიდი სირცხვილია, — მომხდარა
ბევრჯელ, ამ ხუთის მანეთის პატრონს, ეს ხუთი მანეთი
რომ წაუგია, თამამობისთვის თავი არ დაუნებებია იმ ჰაზრით,
ეგება: დავიბრუნო წანაგებიო, ნაცვლად დაბრუნებისა, ერთი
და ორი კიდევ იმოღენა წაუვი; როცა ბოლოს მოუთხო-
ვნიათ ფული და გასწორებას ანგარიშში შესულან, არა
ჰქონია, მიეცა უთხოვნი დაცდა, იმათ ეს არ უქნიათ, მო-
სელიათ ერთი დიდი ჩხუბი, ისეთი ჩხუბი რომ ვაშლიც
დაეიწყებია, მსხალიც ხმელი ხილიც, ლიშონადიც — ბევრი
გლეჯა და წაწის მემდგომს ან თავსახვევი მოუხსნიათ ან
ბეჭედი წაუძერიათ და სხუა რამ და გატაცვნილი შინ

გაუსტუმრებიით! აფსუს მშტსნიერებაე, რომ ლოტოს წყა-
ლობით ასე დამღაბლებასაკვი მიეცემით ხოლმე... იქნება,
ბეგრმა არ იცოდეს და ამ წყეულს ლოტოს ისეთი საქმე
მოუხდენია, რომ ერთის აბაზის წაგებისათჳს. ისეთი ჩხუბი
შექნილა, რომ ეს ჩხუბი დასრულებულა იმ გვარ მომკუტ-
დინებელ ცოდვად, რომ ეთქუბათ, მსმენელმა ყურგზედ
თითი უნდა დაიცუბას..

ახლა ერთი ესეცა ვსთქუათ, ეს ჩტსნი ლაბარაკი, ეს
ჩტსნი წერა მოქმედებს რასმეს? — სრულებით არაფერს...
ერთს დასაღუბავს ლოტოს წვეულებაში; სადაც ბეგრი
ლიმონადიც დაღეულა და ბეგრი სანოვანეც მიუღიათ.
თურმე შუალბმე რომ მოახლოვდა, მამლის ყივილი რომ
შემოესმათ, ერთმა შეუბოვარმა ქალმა წამოიძახა „ახლაკი
დრო არის დავიმალნეთ ქალებოვო, თბეხედის მამალმა,
იყივლაო!“ დიახ, ლოტოს მოტრფენო, მე ისეთი მამალი
ვარ, რომელიც ღამით თქტსთან ეიმყოფები, ჩემის უჩინ-
მაჩინის ქუდით, ყოველს თქტსნს მოქმედებას ეწონაე,
ეწერ, რადგანც ჩემი ვბლია, ყოველი ბოროტი საქტსენოდ
გამოვსთქუა, რომ ეგების ეშველოს ჩტსნ საწყალ ქართე-
ლების მდგომარეობას. — იტყვიო, ჩტსნთან რა საქმე გაქვსო,
თქტსნთანა მაქტს საქმე, მაშ სხტა ვისთან? მე და თქტს
ერთ საზოგადოებას შეეაღვენთ; მე და თქტსნ, ესე ი
ჩემის თანა მოძმეებით, ერთს აგებულებას შეეაღვენთ. იმ
აგებულებას, რომელიცა იტკიეებს რამდენიმე თბვისტანის

ასოს, და ამ სწეულის ასოსათვის, მაღამო არის საჭირო; ცდილობთ, თქვენს სიყურადღებოსათვის, ეგები როგორმე უშველოთ იმ სენს, რომელიცა ასე ღუპავს ჩვენს ოჯახს.

ერთს უთხარი, ნებას რათ აძლევთ, რომ თქვენს სახლობა ლოტოს თამაშობს მეთქი? მიპასუხა, როდესაც მე სოფლად გამიგულდებნო, მაშინ გამართამენ სოლომო!.. ეს ვერაფერი თქმა არის, შემდგომში, დაფაქტიცებ, რომ ბევრში ქმრებიც არიან დამნაშავენი, რომ სახლობა ასე უპოვრად იქცევა.

ან, მართლა, როგორა ებედავ, ლოტოს ქალებზედ ლაპარაკსა, ჩვენს ხომ მათის წყალობითა ესცხოვრობთ; როგორც მოგახსენებენ; ამხედ, ამას მოეხსენებთ, რომ რაც აქამდინ, თავხედისათვის უგზავნიათ, იმას ნულარ გამოგზავნიან? ან თითონ რომ არ აბადიათ რა ისე გაუფხვცია ლოტოს თამაშობას, სხუას ვის რას მისცემენ, ნეტარ იციან კეთილი და საქტყუნო საქმე რომელია? ეჰ, ბევრი მბატეს სათქმელი, დრო მოვა, სულ ერთიან გამოვსტყუამთ, ჩვენს არავის დაეზავათ, თუ ბოროტება და ქტყუნის საენებელი რამ შეენიშნეთ. ჯერ ეს იკმარეთ.

თახედი.

